უმაღლესი განათლების მისაღებ გამოცდებზე არსებული კვოტირების სისტემა საქართველოში

ანალიტიკური ბიულეტენი

www.cciir.ge

2024

შინაარსი

მიგნებები **2**

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა 2

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არჩევანი 2

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო პროგრამების არჩევანი 3

უმაღლესი განათლების დაფინანსება თანასწორობისა და მერიტოკრატიის კონტექსტში..... 4

განათლების ხელმისაწვდომობა **5**

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე ჩარიცხვა რაიონების მიხედვით **8**

უნივერსიტეტების მიხედვით პრიორიტეტული არჩევანი **10**

პროგრამების მიხედვით არჩევანი **13**

გრანტების გადანაწილება და უმაღლესი განათლების დაფინანსება **19**

უმაღლესი განათლების დაფინანსება **21**

მიგნებები

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა

- უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის 2010 წელს უმაღლეს განათლებაზე კვოტირების სისტემის შემოღებით;
- 2010 წლიდან 2024 წლის ჩათვლით ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე 12487 აბიტურიენტი ჩაირიცხა აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში;
- ჩარიცხული სტუდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას აზერბაიჯანულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულები შეადგენენ (71,9 %). სომხურენოვანთა წილი 27,9 %-ია, ხოლო აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტები კვოტირების ფარგლებში ჩარიცხულთა მხოლოდ 0,2 %-ს შეადგენს (სულ 32 სტუდენტია ჩარიცხული, აქედან 30 - ოსურენოვანი და 2 - აფხაზურენოვანი);
- კვოტირების სისტემა განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს აზებაიჯანულენოვან აბიტურიენტებში. მათი რაოდენობა, საწყის მონაცემებთან შედარებით, ბოლო წლებში გახუთმაგდა და ყოველწლიურად 1000-მდე აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტი ხდება სტუდენტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სომხურენოვანი სტუდენტების რაოდენობა შედარებით სტაბილურია და მკვეთრი ზრდით არ გამოირჩევა, თუმცა მცირედი ზრდა ყოველწლიურად ფიქსირდება. გამონაკლისია 2020 და 2021 წლების მისაღები გამოცდები, როცა სომხურენოვანი სტუდენტების ჩარიცხვის მკვეთრი კლება დაფიქსირდა;
- მარნეულის, გარდაბნის და საგარეჯოს რაიონები გამორჩეული მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებიან და სკოლის კურსდამთავრებულთაგან 40-70%-მდე აბარებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შედარებით დაბალია, 30%-ს ქვევით, ბოლნისი, ნინოწმინდა, ახალქალაქი. შუალედურ რგოლს წარმოადგენს დმანისი, წალკა და ახალციხე, სადაც კურსდამთავრებულთა 30%-დან 40%-მდე ხვდება საქართველოს უსდ-ში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არჩევანი

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ყველაზე მიმზიდველი უნივერსიტეტია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის და შესაბამისად, 2010-2022 წლებში უმაღლესი ჩარიცხული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების 40%-ი სწორედ თსუ-ში სწავლობს;
- კვოტირების სისტემით ჩარიცხული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები ძირითადად ოთხ უნივერსიტეტში ნაწილდებიან: თსუ, სტუ, ილიას უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო პროგრამების არჩევანი

- პროგრამების მიხედვით არჩევანის თვალსაზრისით საერთო მონაცემებიდან პირველ ადგილზეა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულება, რასაც მოსდევს მედიცინის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის მიმართულებები. შედარებით დაბალი არჩევანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ინჟინერიის მიმართულებებზე. საკმაოდ პოპულარულია ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულება;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ მზადდებიან საბუნებისმეტყველო, აგრარული მეცნიერებების, ინჟინერიის სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს როგორც რეგიონული, აგრეთვე ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების თვალსაზრისით;
- ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების შიდა სპეციალიზაციის ჩაშლის გათვალისწინებით ძირითადად საბანკო საქმის, საფინანსო და ბუღალტრული მომსახურების სპეციალისტები მზადდებიან. დღევანდელ შრომით ბაზარზე ამ მიმართულებით მოთხოვნა არსებობს და ამ სფეროში ანაზღაურებაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, რაც განაპირობებს ამ მიმართულებების პოპულარობას;
- მაღალია მოთხოვნა ქართულ ფილოლოგიასა და ინგლისურის ფილოლოგიაზე;
- უნივერსიტეტები ამზადებენ მხოლოდ დაწყებითი განათლების საფეხურის მასწავლებლებს, 2010-2022 წლებში უნივერსიტეტებმა მოამზადეს 300 დაწყებითის მასწავლებელი. რაც, ერთი მხრივ, პოზიტიურია, თუმცა, მეორე მხრივ, არ შეესაბამება შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, რადგან არაქართულენოვან სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა სულ 1359 მასწავლებელია და მათი საშუალო ასაკი არც ისე მაღალია;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ ამზადებენ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებს (მაგალითად, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, სოციალური მეცნიერებების მასწავლებლებს, რომელთა დეფიციტი ამჟამადაც არის არაქართულენოვან სკოლებში და ამ საგნების მასწავლებელთა საშუალო ასაკი საკმაოდ მაღალია (59 წელი - ქიმიის, 56 - მათემატიკის, 57 - ფიზიკის, 55 - ქიმიის). შესაბამისად, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი აცდენაა;
- მედიცინის მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულ სტუდენტებში. 2010-2022 საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო უნივერსიტეტის და თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე არჩევანი გააკეთა 1136 სტუდენტმა. აღნიშნული რაოდენობა მკვეთრად აღემატება სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობას.

უმაღლესი განათლების დაფინანსება თანასწორობისა და მერიტოკრატიის კონტექსტში

- გრანტის მოსაპოვებლად საჭირო ქულების თვალსაზრისითაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს შორის. აბიტურიენტთა მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე, სკალირებული და საკონკურსო უფრო მაღალი ქულაა საჭირო აზერბაიჯანულენოვათათვის, ვიდრე სომხურენოვნებისთვის;
- გრანტის მოსაპოვებლად არსებული პოლიტიკა და მიდგომა არ ეხმიანება განათლების პოლიტიკაში არც მერიტოკრატულ და არც ეგალიტარიანულ პრინციპებს. გრანტის გაცემა არ ხდება დამსახურებაზე დაფუძნებით და არც თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გრანტის გაცემის ერთადერთი საფუძველი ამ შემთხვევაში ეთნიკური წარმომავლობა და გამოცდის ენაა;
- თუ უმაღლესში ჩარიცხვის ნაწილში პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკა გვაქვს, დაფინანსების თვალსაზრისით არსებობს დისკრიმინაციული მიდგომა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უსდ-ის პროგრამები არ ფინანსდება სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტებისთვის;
- არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ჯგუფი იღებს განსხვავებულ დაფინანსებას, რადგან არ არსებობს მწყობრი მიდგომა დაფინანსების პოლიტიკის თვალსაზრისით. სომხურენოვანი აბიტურიენტები მათი დაბალი რაოდენობიდან და გრანტის მიღების მაღალი კვოტიდან გამომდინარე, სარგებლობენ დაფინანსების მაღალი ხვედრითი წილით და სომხურენოვანი აბიტურიენტების 60% იღებს დაფინანსებას, ხოლო აზერბაიჯანულენოვანებში ანალოგიური მაჩვენებელი 20%-ს ოდნავ აღემატება. განსხვავებულია ორივე ამ ჯგუფის მონაცემი გამოცდების სტანდარტული სისტემით ჩამბარებელთათვის დაფინანსების სხვადასხვა მოდელის, ოდენობის, პრინციპის გაერთიანებულ მონაცემთანაც, რომლის შესაბამისად, სახელმწიფოსგან დაფინანსებას ჩარიცხულ სტუდენტთა მხოლოდ 38,5%-ი იღებს;
- დაფინანსების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა მოზიდვას სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად აღიარებულ მიმართულებებზე, მაგალითად - მასწავლებელთა განათლების პროგრამაზე.

განათლების ხელმისაწვდომობა / უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რაოდენობა 2010-2024 წლებში

2009 წლის ნოემბერში უმაღლესი განათლების კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოში უმაღლესში მიღების სისტემაში დაინერგა კვოტირების სისტემა სომხურენოვანი (5%), აზერბაიჯანულენოვანი (5%), აფხაზურენოვანი (1%) და ოსურენოვანი (1%) აბიტურიენტებისთვის და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა (უსდ) დაიწყეს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამების განხორციელება. კვოტირების სისტემა გულისხმობს აბიტურიენტების ჩარიცხვას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე ზოგადი უნარების ერთი გამოცდის საფუძველზე. ჩარიცხვის შემდეგ უსდ-ში ჩარიცხული სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში 60 კრედიტის ფარგლებში სწავლობენ მხოლოდ ქართულ ენას, რომლის ცოდნის სერტიფიკატის აღების შემდგომ, ირჩევენ საბაკალავრო პროგრამას და სწავლას აგრძელებენ ამ პროგრამაზე. 2010 წლიდან, ანუ კვოტირების სისტემისა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შემოღების პირველი წლიდან დღემდე, გაზრდილია როგორც აზერბაიჯანულენოვანი, ისე სომხურენოვანი ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა.

2010 წლიდან 2024 წლის ჩათვლით ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე 12487 აბიტურიენტი ჩაირიცხა აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში. აქედან აბსოლუტურ უმრავლესობას აზერბაიჯანულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულები შეადგენენ და მათი წილი 71,9 %ს შეადგენს. სომხურენოვანთა წილი 27,9 %-ია, ხოლო აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტები კვოტირების ფარგლებში ჩარიცხულთა მხოლოდ 0,2 %-ს შეადგენს (სულ 32 სტუდენტია ჩარიცხული, აქედან 30 ოსურენოვანი და 2 აფხაზურენოვანი). ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ წლების მიხედვით დეტალური ინფორმაცია პირველ გრაფიკშია წარმოდგენილი:

გრაფიკი 1.



აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით მზარდია და ბოლო წლებში 1000 ჩარიცხულ სტუდენტს მიაღწია ყოველწლიურად.

გრაფიკი 2.

სომხურენოვანი სტუდენტების რაოდენობა შედარებით სტაბილურია და მკვეთრი ზრდით არ გამოირჩევა, თუმცა მცირედი ზრდა ყოველწლიურად მაინც ფიქსირდება. გამონაკლისია 2020 და 2021 წლების მისაღები გამოცდები, როცა სომხურენოვანი სტუდენტების

ჩარიცხვის მკვეთრი კლება დაფიქსირდა, რაც სავარაუდოდ კოვიდ 19-ის პანდემიის გავლენით იყო გამოწვეული.

გრაფიკი 3.



თუკი სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტთა რაოდენობას შევადარებთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტია თვალსაჩინო: საწყის ეტაპზე მეტ-ნაკლები თანაბრობა ფიქსირდებოდა სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა ჩარიცხვის თვალსაზრისით, თუმცა, წლების დინამიკაში აზერბაიჯანულენოვანთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, ხოლო სომხურენოვანთა ზრდის დინამიკა ზომიერი იყო და ზოგიერთ შემთხვევაში კლების ტენდენციაც შეინიშნებოდა. შესაბამისად, ამჟამად აზერბაიჯანულენოვან ჩარიცხულთა რაოდენობა 2,5-ჯერ აჭარბებს სომხურენოვან აბიტურიენტთა ჩარიცხულ რაოდენობას.

გრაფიკი 4.



ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე ჩარიცხვა რაიონების მიხედვით

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო ჩარიცხული სტუდენტების რაიონების მიხედვით გადანაწილება - ანუ, რომელი რაიონებიდან და რეგიონებიდან ხდება ერთწლიან პროგრამაზე ჩარიცხვა მეტი რაოდენობით, განსაკუთრებით - სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობასთან მიმართებით.

რაიონების მიხედვით ყველაზე მაღალია მარნეულის რაიონიდან ჩარიცხვა და მარნეულის რაიონის ხვედრითი წილის ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის 29,7%-ს შეადგენს, ჩარიცხულთა რაოდენობით შემდეგი მაჩვენებელი აქვს გარდაბანს, ხოლო სომხურენოვანი მოსახლეობიდან ახალქალაქის რაიონიდან არის ყველაზე დიდი რაოდენობა, რომელსაც მოსდევს ნინოწმინდის რაიონი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში:

გრაფიკი 5.



მხოლოდ ჩარიცხულთა რაოდენობრივი მონაცემი არ არის საკმარისი ანალიზისთვის, გავიგოთ რომელი რაიონებიდან არიან აბიტურიენტები აქტიური. ამისათვის მნიშვნელოვანია რაიონების მიხედვით სკოლის კურსდამთავრებულთა შეფარდება უმაღლესში ჩარიცხულებთან და შესაბამისი წილი განსაზღვრავს, თუ რომელ რაიონებშია მაღალი მონაწილეობა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების თვალსაზრისით და სად არის მნიშვნელოვანი დამატებითი საინფორმაციო თუ საინტეგრაციო პოლიტიკის განხორციელება. ამ თვალსაზრისით სტატისტიკური მონაცემები საინტერესო ანალიზის შესაძლებლობებს იძლევა.

მარნეულის, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონები გამორჩეული მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებიან და სკოლის კურსდამთავრებულთაგან 40-70%-მდე აბარებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შედარებით დაბალია (30%-ს ქვევით) ბოლნისი, ნინოწმინდა, ახალქალაქი. შუალედურ რგოლს წარმოადგენს დმანისი, წალკა და ახალციხე, სადაც კურსდამთავრებულთა 30%-დან 40%-მდე ხვდება საქართველოს უსდ-ებში. სკოლის კურსდამთავრებულთა შესახებ დეტალური ინფორმაცია რაიონების მიხედვით ქვემოთ მოყვანილ გრაფიკშია მოცემული.

გრაფიკი 6.



უნივერსიტეტების მიხედვით პრიორიტეტული არჩევანი

უნივერსიტეტების მიხედვით კვოტირების სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებს მკვეთრად გამორჩეული პრეფერენციები აქვთ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ყველაზე მიმზიდველი უნივერსიტეტია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის და, შესაბამისად, 2010-2022 წლებში უმაღლესი ჩარიცხული სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების 40% სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის ასევე ძალიან პოპულარულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც მოსდევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სომხურენოვან სტუდენტთა რაოდენობაც მაღალია ილიას უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, თუმცა მათი რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩება თსუ-ში სტუდენტთა რაოდენობას, ისევე, როგორც მკვეთრად დაბალია ამავე უნივერსიტეტებში აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებთან შედარებით მათი რიცხვი. აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები გვხვდებიან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა სომხურენოვანი სტუდენტები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთოდ არ ირჩევენ, ასევეა სხვა უნივერსიტეტებშიც: მათი რაოდენობა მიზერულია, გარდა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტისა, რომელიც, განსახლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის საკმაოდ მიმზიდველია.

გრაფიკი 7.



2024 წელს 3283 განაცხადი დაფიქსირდა ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან 80 პროგრამაზე (20 პროგრამა * 4 ენა (სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი). აბიტურიენტთა პრიორიტეტული არჩევანის მიხედვით, კვლავაც 5 უნივერსიტეტია მთავარი არჩევანი, სადაც აბიტურიენტთა 90%-ზე მეტი აკეთებს არჩევანს (თსუ, ილიას უნივერსიტეტი, სტუ, თსსუ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

გრაფიკი 8.



ჩარიცხვების თვალსაზრისითაც, 2024 წელს 3283 განაცხადიდან 1588 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი. ჩარიცხული სტუდენტებიდან 534 სტუდენტი თსუ-ში ჩაირიცხა, 346 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, 316 - სტუ-ში, 89 - თსსუ-ში, 55 - სოხუმის უნივერსიტეტში და 58 - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში. სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების 2024 წლის არჩევანიც მიუყვება ზუსტად იმ ტენდენციებს, რაც 2010-2022 წლებში ფიქსირდებოდა და რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩარიცხულთა ნაწილი უკვე მოქმედი სტუდენტია და გრანტის მისაღებად აბარებს გამოცდას, ნაწილი ირიცხება რეგიონალურ უნივერსიტეტში და უარს ამბობს სწავლის გაგრძელებაზე ხოლო ნაწილი ამჯობინებს, არ გამოიყენოს ქართულ უსდ-ში ჩარიცხვა და არ აგრძელებს სწავლას. შესაბამისად, გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ ჩარიცხული 1588 სტუდენტიდან რეალურად ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე, 2024 წლის გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე, სწავლა გააგრძელა 1343-მა სტუდენტმა.

გრაფიკი 9.



პროგრამების მიხედვით არჩევანი

პროგრამების მიხედვით არჩევანი ოთხი უნივერსიტეტის, რომელშიც სწავლობს ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულთა 85%-ზე მეტი, მაგალითზე გაანალიზდა. თითოეულ უნივერსიტეტს პროგრამების დასახელება განსხვავებული აქვს ამიტომ გრაფიკებს წარმოვადგენთ ინდივიდუალური უნივერსიტეტების შესაბამისად. პროგრამების არჩევანის მიხედვით, უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიების არჩევანი მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტში იკვეთება. სხვაგან, პროგრამების მიხედვით არჩევანის თვალსაზრისით, საერთო მონაცემებიდან პირველ ადგილზეა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულება, რასაც მოსდევს მედიცინის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის მიმართულებები. შედარებით დაბალი არჩევანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - მათემატიკის, ინჟინერიის მიმართულებებზე. საკმაოდ პოპულარულია ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებაც. დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზეა წარმოდგენილი.

გრაფიკი 10.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე პოპულარული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაა, რასაც მოსდევს მედიცინის და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები. მაღალი მოთხოვნით სარგებლობს სამართლისა და საერთაშორისო სამართლის, ასევე - ინგლისური ენის ფილოლოგიის პროგრამა. საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ში პოპულარობით სარგებლობს მულტილინგვური განათლების პროგრამა, სადაც 2010-2022 წლების მონაცემებით 194 სტუდენტი სწავლობდა, ხოლო მხოლოდ 2024 წელს 75-მა სტუდენტმა ჩააბარა. საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკურ და სოციალური მეცნიერებების პროგრამებიც მეტ-ნაკლები მოთხოვნით სარგებლობს, სხვა პროგრამების კი მხოლოდ მცირედად არის წარმოდგენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების: ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის მიმართულებებზე არჩევანი მიზერულია. დეტალური ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების არჩევის შესახებ ქვემოთ მოყვანილ გრაფიკშია წარმოდგენილი.

გრაფიკი 11. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულთა არჩევანი პროგრამების მიხედვით 2010-2022



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსგავსად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, თუმცა პირველი ადგილი უჭირავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებებს. პოპულარულია აგრეთვე სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ილიას უნივერსიტეტშიც დაწყებითი განათლების პროგრამაზე სწავლობს არაქართულენოვან სტუდენტთა სოლიდური რაოდენობა, რაც აგრეთვე მისასალმებელია. რაც შეეხება განსხვავებასას და მსგავსებას სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტების არჩევანს შორის - აზერბაიჯანულენოვანთათვის ჰუმანიტარული მეცნიერებებია ყველაზე ხშირი არჩევანი, ხოლო სომხურენოვანთათვის - ბიზნესის ადმინისტრირება. აზერბაიჯანულენოვანთათვის მათემატიკა, კომპიუტერული ინჟინერია და ინფორმატიკა არის სპეციალობები, რომლებიც, ასევე, პოპულარულია, თუმცა ეს მიმართულებები აბსოლუტურად არაპოპულარულია სომხურენოვან სტუდენტებში. სხვა მხრივ, მეტ-ნაკლებად ერთნაირი არჩევანია.

გრაფიკი 12. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულთა არჩევანი პროგრამების მიხედვით 2010-2022



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების არჩევანიც საინტერესო სურათს იძლევა, რამეთუ ამ უნივერსიტეტში ფოკუსი სამშენებლო, საინჟინრო და ტექნიკური მიმართულებების ნაცვლად, ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებს აქვს. პოზიტიურია ინფორმატიკის მიმართულების პოპულარობა, თუმცა საინჟინრო მიმართულებებით სპეციალისტების მომზადება მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს, დეტალური ინფორმაცია ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამების არჩევანის შესახებ ქვემოთ მოყვანილ გრაფიკშია წარმოდგენილი.

გრაფიკი 13. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2010-2022 წლების არჩევანის მიხედვით



საინტერესოა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითიც, რომელიც რეგიონისთვის ამზადებს შრომითი ბაზრის შესაბამის საკადრო რესურსს. ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის მიმართულება ამ უნივერსიტეტშიც ყველაზე პრესტიჟულია, საკმაოდ პოპულარულია ქართული და ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებები, განსაკუთრებით - ქართული ფილოლოგია, რაც რეგიონის სპეციფიკითა და ქართული ენის მცოდნე ფილოლოგებზე მაღალი მოთხოვნითაა განპირობებული. საინტერესოა, რომ ეს უნივერსიტეტი, რომელიც რეგიონის სპეციფიკას ასახავს, არ ამზადებს არმენოლოგებს, სომხური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს, ასევე - სომხური ენის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლებს, რაც მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და მიმართულება შეიძლება იყოს ამ უნივერსიტეტისთვის.

გრაფიკი 14.



პროგრამების არჩევანის ანალიზი იძლევა რამდენიმე მიმართულებით ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას:

1) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ მზადდებიან საბუნებისმეტყველო, აგრარული მეცნიერებების, ინჟინერიის სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს როგორც რეგიონული, ისე ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების თვალსაზრისით;
2) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების შიდა სპეციალიზაციის ჩაშლის გათვალისწინებით, ძირითადად საბანკო საქმის, საფინანსო და ბუღალტრული მომსახურების სპეციალისტები მზადდებიან. დღევანდელ შრომით ბაზარზე ამ მიმართულებით მოთხოვნა არსებობს და ამ სფეროში ანაზღაურებაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, რაც განაპირობებს ამ მიმართულებების პოპულარობას;
3) მაღალია მოთხოვნა ქართულ და ინგლისურ ფილოლოგიაზე, რომელთა ფოკუსი ამ საგნების მასწავლებლობაა დასრულების შემდგომ. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით ეს მიმართულებები არ იძლევა მასწავლებლის კვალიფიკაციას და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მაინორის მასწავლებელთა განათლების პროგრამების ამუშავება, რაც კანონმდებლობით შესაძლებელია, თუმცა მისი რეალური ამოქმედება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება და დღემდე გართულებულია უსდ-

ებში. მნიშვნელოვანია, ქართული და ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულებმა შეძლონ ამ მიმართულებებით საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის კვალიფიკაციის მიღებაც. ეს მნიშვნელოვანი იქნება მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და სოციალური მიმართულებების კონტექსტშიც სკოლებისთვის ახალი საკადრო რესურსების უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

4) უნივერსიტეტები ამზადებენ მხოლოდ დაწყებითი განათლების მასწავლებლებს, 2010-2022 წლებში უნივერსიტეტებმა მოამზადეს 300 დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი. რაც ერთის მხრივ პოზიტიურია, თუმცა, მეორე მხრივ, არ შეესაბამება შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, რადგან არაქართულენოვან სკოლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა საერთო რაოდენობა სულ 1359 მასწავლებელია და მათი საშუალო ასაკი არც ისე მაღალია. ანუ სკოლებში მათი ჩანაცვლების ასეთი რაოდენობით საჭიროება მოკლე პერიოდში არ იქნება. ამის საპირწონედ კი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ ამზადებენ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებს (მაგალითად, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, სოციალური მეცნიერებების მასწავლებლებს, რომელთა დეფიციტი ამჟამადაც არის არაქართულენოვან სკოლებში და მალე მეტად შეიქმნება რადგან ამ საგნების მასწავლებელთა საშუალო ასაკი საკმაოდ მაღალია (59 წელი - ქიმიის, 56 - მათემატიკის, 57 - ფიზიკის, 55 - ქიმიის). შესაბამისად, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი აცდენაა;

5) ანალოგიური ვითარებაა მშობლიური ენის მასწავლებელთა მიმართულებით. ისინიც მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში (თსუ) და მხოლოდ დაწყებითი საფეხურისთვის მზადდებიან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურისთვის მშობლიური ენის მასწავლებელთა დეფიციტი მალე შეიქმნება - განსაკუთრებით ამ საგნის მასწავლებლების საშუალო ასაკიდან გამომდინარე;

6) მასწავლებლების გარდა, კიდევ ერთი რეგულირებადი პროფესიაა მედიცინა. აღსანიშნავია, რომ მედიცინის მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ერთწლიანი პროგრამის კურსდამთავრებულ სტუდენტებში. 2010-2022 წლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო უნივერსიტეტის და თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე არჩევანი გააკეთა 1136-მა სტუდენტმა. აღნიშნული რაოდენობა მკვეთრად აღემატება სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობას.

გრანტების გადანაწილება და უმაღლესი განათლების დაფინანსება

გრანტისა და დაფინანსების მოსაპოვებლად არსებული პოლიტიკა და მიდგომა არ ეხმიანება განათლების პოლიტიკაში არც მერიტოკრატულ და არც ეგალიტარიანულ პრინციპებს. გრანტის გაცემა არ ხდება დამსახურებაზე დაფუძნებით და არც თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გრანტის გაცემის ერთადერთი საფუძველი ამ შემთხვევაში ეთნიკური წარმომავლობა და გამოცდის ენაა.

გრანტის მოსაპოვებლად საჭირო ქულების თვალსაზრისითაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს შორის. აბიტურიენტთა მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე სკალირებული და საკონკურსო ქულაც უფრო მაღალია

საჭირო აზერბაიჯანულენოვნებში ვიდრე სომხურენოვნებში. გრანტის მოსაპოვებელი საჭირო სკალირებული ქულის შესახებ 2010-2024 წლებში დეტალური ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 1. გრანტის მოსაპოვებლად საჭირო სკალირებული ქულა 2010-2024 წლებში

წელი	**საშუალო სკალირებული ქულა გრანტის მოსაპოვებლად (სომხურენოვანთათვის)**	**საშუალო სკალირებული ქულა გრანტის მოსაპოვებლად (აზერბაიჯანულენოვანთათვის)**
2010	141.1 სკალირებული	144.1 სკალირებული
2011	145.4 სკალირებული	157.4 სკალირებული
2012	148.1 სკალირებული	153.8 სკალირებული
2013	152.1 სკალირებული	156.9 სკალირებული
2014	152.2 სკალირებული	154.9 სკალირებული
2015	150.5 სკალირებული	155.6 სკალირებული
2016	157.6 სკალირებული	159.8 სკალირებული
2017	157.8 სკალირებული	158.3 სკალირებული
2018	160.7 სკალირებული	163.3 სკალირებული
2019	161.4 (სკალირებული)	165.1 (სკალირებული)
2020	150,8 (სკალირებული)	164,6 სკალირებული
2021	153 (სკალირებული)	167 (სკალირებული)
2022	168,5 (სკალირებული)	179,4 (სკალირებული)
2023	159,1 სკალირებული	173,9 სკალირებული
2024	163,7 სკალირებული	173,4 სკალირებული

2024 წლის მისაღებ გამოცდებზე ზოგადი უნარების გამოცდა აზერბაიჯანულ ენაზე 2601-მა აბიტურიენტმა ჩააბარა. მათთვის გრანტისათვის საჭირო ქულა 173,4 ქულა იყო, ხოლო ამავე წელს 629 სომხურენოვანი აბიტურიენტი გავიდა გამოცდაზე და 163,7 ქულა იყო გრანტისთვის საკმარისი სკალირებული ქულა**.**

ცხრილი 2.

	ზოგადი უნარების ჩამბარებელთა რაოდენობა	გრანტირებულთა თვის სკალირებული ქულა (200 სტუდენტი)	საშუალო სკალირებული ქულა	საშუალო სკალირებული ქულა 629 სომხურენოვან და 629 აზერბაიჯანულენოვანი აბუტირიენტის
სომხურენოვანი	**629**	**163,7**	**155,1**	**155,1**
აზერბაიჯანულენოვანი	**2601**	**173,4**	**148,8**	**159,4**

უმაღლესი განათლების დაფინანსება

უმაღლესი განათლების დაფინანსება ქართულენოვანი, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის განსხვავებულია. მაგალითისთვის ვიღებთ 2024 წლის მონაცემებს, რომელთაც გავაანალიზებთ ჩარიცხული სტუდენტების კონტექსტში: თუ რა რაოდენობის და შეფარდების სტუდენტი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას განსხვავებული ოდენობითა თუ ფორმით, რათა ხელმისაწვდომი იყოს მისთვის უმაღლესი განათლება.

ცხრილი 3.

	ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	გრანტირებულ და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების / სოციალური პროგრამების მიმღებთა რაოდენობა	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების ხვედრითი წილი
ქართულენოვანი	32 000	12393	**38,7%**
სომხურენოვანი	347	205	**59 %**
აზერბაიჯანულენოვანი	996	205	**20,6 %**

გრაფიკი 15.



ცხრილიდან და გრაფიკიდან ცხადად ჩანს, რომ არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ჯგუფი იღებს განსხვავებულ დაფინანსებას, რადგან არ არსებობს მწყობრი მიდგომა დაფინანსების პოლიტიკის მიმართ. სომხურენოვანი აბიტურიენტები, მათი დაბალი რაოდენობიდან და გრანტის მიღების მაღალი კვოტიდან გამომდინარე, სარგებლობენ დაფინანსების მაღალი ხვედრითი წილით და სომხურენოვანი აბიტურიენტების 60% იღებს დაფინანსებას, ხოლო აზერბაიჯანულენოვანებში ანალოგიური მაჩვენებელი 20%-ს ოდნავ

აღემატება. განსხვავებულია ორივე ამ ჯგუფის მონაცემი გამოცდების სტანდარტული სისტემით ჩამბარებელთათვის დაფინანსების სხვადასხვა მოდელის, ოდენობის, პრინციპის გაერთიანებულ მონაცემთანაც, რომლის შესაბამისად, სახელმწიფოსგან დაფინანსებას ჩარიცხულ სტუდენტთა მხოლოდ 38,5% იღებს.

მნიშვნელოვანია არსებული დაფინანსების მოდელის დისკრიმინაციული ბუნებაც და, ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის განუხორციელებლობა არაქართულენოვან სტუდენტებში. 2013 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხორციელდება ე.წ. „უფასო ფაკულტეტების“ პროგრამა. 2013 წლიდან დღემდე არ ხორციელდება ამ პროგრამაში კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების ჩართვა. ეს მიდგომა დაფინანსების ნაწილში დისკრიმინაციუალია და, ამავე დროს, დამატებით ქმნის პრობლემებს, მაგალითად, სტუდენტთა მოსაზიდად ისეთ პროგრამებზე, როგორიცაა მასწავლებელთა განათლების პროგრამა, რომელიც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლებისთვის საკადრო რესურსების მომზადების თვალსაზრისით: ეს აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და საფუძვლად უდევს ე.წ. „უფასო პროგრამების“ იდეას.

ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
www.cciir.ge
FB/CCIIR
cciir.info@gmail.com